ოქმი N4

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი 2017 წლის 29 დეკემბერი

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 10

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 10

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. თეა გელანტია
4. დავით ბერაია
5. დოდო გაბუნია
6. ტარიელ ალექსანდრია
7. ვლადიმერ ქანთარია
8. ბექა მამაცაშვილი
9. თენგიზ აბაკელია
10. მერაბ ფილიპია

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა – საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 29 დეკემბრის N03/5961 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 დეკემბრის №58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ;
- „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ;

(მომხსენებელი: დ. ბერაია - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2017 წლის 29 დეკემბრის N03/5961 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 დეკემბრის №58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ;
- „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ;

(მომხსენებელი: დ. ბერაია - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: დ. ბერაია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტები: „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 დეკემბრის №58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით (მასალები ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 126[1] მუხლის მე-7 პუნქტისა და „პროფესიული საჯარო მოხელეებითა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის

№215 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეკომენდაციების საფუძველზე, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენელთათვის განსაზღვრული ფუნქციათა ერთობლიობის, პასუხისმგებლობის, მოვალეობათა შესრულების სირთულისა და კომპეტენციების გათვალისწინებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელდა სათანადო სამუშაოები და მიღებულია გადაწყვეტილება ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენელთათვის შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პოზიციების პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობებად გარდაქმნასთან დაკავშირებით. განხორციელებული სამუშაოების ფარგლებში, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედების მომენტისთვის ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობებისა და შრომითი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პოზიციების კორექტირების მიზნით, გამოიცა ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებები „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ზოგიერთი თანამდებობის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობად განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 26 ივნისის №01-425-01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ზოგიერთი თანამდებობის შრომითი ხელშეკრულებით დასაკავებელ პოზიციად განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 26 ივნისის №01-426-01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენელთა ფუნქციები მოექცა პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობათა ნუსხაში. განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა ხობის წარმოდგენილი დადგენილებების პროექტები, რომელთა ამოქმედება გათვალისწინებულია 2018 წლის 1 იანვრიდან. გამომსვლელის განცხადებით, მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მათი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტების საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტები შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა